

## ივ. ჯავახიშვილი - პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი

ლიკა გუდამე-----, ალისკა 98“

უნივერსიტეტი წარმოადგენს გლობალურ, საერთაშორისო, ლიბერალური განათლების კომპონენტების შემცველ უმაღლესი განათლების სასწავლო დაწესებულებას, რომელიც პასუხისმგებელია სწავლის მაღალ ხარისხზე. უნივერსიტეტის სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესები მიზნად ისახავენ, დახმარება გაუწიონ სწავლის მსურველებს ეფექტური, მრავალფუნქციონალური განათლების მიღებით, ცხოვრების მანძილზე ემსახურონ მათ, ვინც კაცობრიობის სამსახურშია. უმაღლესი საგანმანათლებლო კერები ჯერ კიდევ ჩვ.წ. აღ არსებობდა მსოფლიოში. საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი დაარსდა 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. ეს პირველი და ერთადერთი უნივერსიტეტი იყო იმ დროს მთელს კავკასიაში. განათლების მნიშვნელობა თავისი არსით უტოლდება თავისუფლებისაკენ სწრაფვას. განათლებული საზოგადოება ყოველთვის საშიშ იარაღს ფლობს. სწორედ ამიტომაც ცარიზმის რუსეთის პირობებში ბევრს აუხდენელ ოცნებად მიაჩნდა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნა, თუმცა ჯავახიშვილმა გაიმარჯვა არამარტო რუსეთზე არამედ ქართულ ნიჰილიზმზეც ანუ იმ ადამიანებზე, რომლებსაც არ სჯეროდათ ქართული უნივერსიტეტის გახსნა. ის უშიშრად უპირისპირდებოდა რუსეთის იმპერიას. ჩემი აზრით მისი ეს ნაბიჯი საკმაოდ დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, მაშინ როდესაც საქართველოში რუსული გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ქართულად აზროვნებაც კი იკრძალებოდა. ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის შექმნამდე ძალიან დიდი შრომა გასწია. მან ჩაატარა გამოკითხვა და დაადგინა, მსოფლიოს რომელ ქვეყნებში სწავლობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი სტუდენტები და პროფესორები. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ერის განათლებულმა და მოწინავე საზოგადოებამ გამოღვიძება დაიწყო და პირველად შეეცადნენ საგანმანათლებლო ტრადიციების აღდგენას. 1917 წელს ივანე ჯავახიშვილი თბილისში ჩამოვიდა და 12 მაისს ჩაატარა ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი კრება. ამ კრებას ბევრი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ საბოლოოდ ქართული უნივერსიტეტის შექმნის იდეამ გაიმარჯვა. ([http://junior.tsu.edu.ge/data/file\\_db/PDF/javakhishvili.pdf](http://junior.tsu.edu.ge/data/file_db/PDF/javakhishvili.pdf)) მიხაკო წერეთელი ასე აღწერს მის ღვაწლს: „ჯავახიშვილი რომ იმ დროს დაბადებულიყო, იგი იქნებ სხვა ექვთიმე ან გიორგი მთაწმინდელი ყოფილიყო ან, თუ გინდა, გრიგოლ ხანძთელი, რადგან იგი ახალ საქართველოში იგივე მოვლენა იყო, როგორც იყვნენ ეს დიდნი მამანი ძველ საქართველოში.“ (<http://junior.tsu.edu.ge/-data/filedb/PDF/-javakhishvili.pdf>) ივანე ჯავახიშვილს ქართველი საზოგადოება იცნობს როგორც დიდ საზოგადო მოღვაწეს, პატრიოტს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ ბურჯს. მუდამ თავისი ხალხის, თავისი სამშობლოს მომავალზე მზრუნველს, რომელსაც კარგად ესმოდა მეცნიერთა ახალი და სრულფასოვანი კადრების აღზრდის დიდი მნიშვნელობა. „ყოველ ჩვენგანს, მეტადრე მოხუცებულებს, — ამბობდა ჯავახიშვილი, — უნდა ახსოვდეს, რომ "იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". ძველმა თაობამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ტურფა საბაღნარო ტურფა საბაღნაროდ დარჩეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ ახალი, კარგად მომზადებული კადრების შექმნით, რომლებიც არა თუ ჩამოუვარდებიან ამ ძველ თაობას, არამედ ძველ თაობაზე უკეთესები იქნებიან.“ (<http://www.amsi.ge/istoria/ij/qe1/cx.html>) ეს სიტყვები კიდევ ერთი მაგალითია, იმისა რომ იგი სწორედ მომავალ თაობაში ხედავდა ჩვენი ქვეყნის აღორძინებას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრებზე და სამეცნიერო

კვლევით ქვედანაყოფებში ინტენსიურად მიმდინარეობს ასპირანტებისა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა მომზადება; ფუნქციონირებს სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი 26 საკვალიფიკაციო საბჭო, მეცნიერების თითქმის ყველა დარგში. უნივერსიტეტს დღემდე პირველი ადგილი უჭირავს საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. პუბლიცისტური ნარკვევები- „კაცი, რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა“- გვ.20, მ. ტორაძე- „ივანე-უნივერსიტეტის დამაარსებელი“;
2. პუბლიცისტური ნარკვევები- „კაცი, რომელმაც საქართველოს გონი შეცვალა“- გვ.28, მ. ტორაძე- „უნივერსიტეტის დაარსების კამპანია“;
3. „ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მეცნიერული ღვაწლი“-  
<http://www.amsi.ge/istoria/ij/qe1/cx.html>
4. [http://auhtc.edu/%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1\\_%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/m35](http://auhtc.edu/%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/m35)
5. [http://junior.tsu.edu.ge/data/file\\_db/PDF/javakhishvili.pdf](http://junior.tsu.edu.ge/data/file_db/PDF/javakhishvili.pdf);
6. [http://junior.tsu.edu.ge/data/file\\_db/PDF/javakhishvili.pdf](http://junior.tsu.edu.ge/data/file_db/PDF/javakhishvili.pdf);
7. (<http://www.amsi.ge/istoria/ij/qe1/cx.html>).